



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (10.079)

1-8 ივლისი, 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს ახალი ტექნიკა გადაეცა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“, „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ის“ ფარგლებში, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს 10 ერთეული პიკაპის ტიპის სატვირთო მანქანა, ნარჩენების შესაგროვებელი და საპრესით აღჭურვილი 23 ერთეული 7მ³ და 13მ³ მოცულობის სპეციალური მანქანები გადაეცა.

ახალი აღჭურვილობის გადაცემის პროცესს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, მზია გიორგობიანი, გერმანიის საელჩოს სამხრეთ კავკასიის განვითარების თანამშრომლობის ხელმძღვანელი ლიდია კრიტსმანი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) სამხრეთ კავკასიის რეგიონული დირექტორი ბირგიტ ჰოლდერიდი, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი, გიორგი შუხოშვილი, კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

„მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II“ ფარგლებში, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების 17 მუნიციპალიტეტისთვის ეტაპობრივად ხორციელდებოდა სპეციალური და სატვირთოს ტიპის მანქანების, კონტეინერების, ურნებისა და უნიფორმების გადაცემა; ჯამში, მუნიციპალიტეტებს გადაეცათ ნარჩენების შესაგროვებელი 72 ერთეული სპეციალური ტექნიკა და 12 005 ერთეული სხვადასხვა მოცულობის კონტეინერი და ურნა.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს (ყვარელი, ახმეტა, გურ-



ჯანი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, დედოფლისწყარო), პროგრამის ფარგლებში, ჯამში, ნარჩენების შესაგროვებელი 35 ერთეული სპეციალური ტექნიკა და 5 703 კონტეინერი გადაეცა.

მუნიციპალიტეტების აღჭურვა ნარჩენების შესაგროვებელი და დასუფთავებისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკური საშუალებებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნარჩენების მართვის არსებულ სისტემას.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „ძალიან სასიამოვნო ფაქტია, როცა საქართველოს მთავრობა ჩვენთან ერთად ზრუნავს ჩვენი მუნიციპალიტეტის სისუფთავეზე. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გადაეცა ახალი ტექნიკა - 2 ნაგავმზიდი და ერთი სატვირთო, რომელიც დაგვეხმარება გზისპირების დასუფთავებაში. თანამედროვე ტექნიკის მეშვეობით უკეთესად და გაცილებით მოკლე დროში შესაძლებელი გახდება მყარი ნარჩენების გატანა. ასევე, უახლოეს მომავალში, ქალაქ დედოფლისწყაროში იგეგმება ღია ურნების ჩანაცვლება დახურული ურნებით“.

პროექტი ხორციელდება საქართველოსა და გერმანიის თანამშრომლობის ფარგლებში, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით. კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებისთვის პროექტის ღირებულება ჯამში 6 800 000-მდე ევროს შეადგენს.

ფეინთბოლში მკვამთ მდგმა გაიმარჯვა

პირველად დედოფლისწყაროში - ცენტრალურ სტადიონზე ფეინთბოლის შეჯიბრი ჩატარდა. 40 მონაწილე 8 ჯგუფად დაიყო და პირველობისთვის იბრძოდა. გამარჯვება კი ქვემო ქედის გუნდმა მოიპოვა. ამგვარი ბრძოლები საქართველოს რეგიონებში აქტიურად ტარდება.

ფეინთბოლი ექსტრემალური, ტექნიკურ-სპორტული თამაშია, რომელიც წარმოადგენს საბრძოლო ქმედებების იმიტაციას განსაზღვრულ ტერიტორიაზე. გამოიყენება სპეციალური პნევმატიური იარაღი (ე.წ. მარკერი) და საღებავიანი ყელბანის ბურთები. თამაში მიმდინარეობს ტყეებში, ღია მოედნებზე, შენობებში, ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერების გამოყენებით.

ალექსი დოჭურიშვილი (ქვემო ქედში მერის რწმუნებული): „ქვემო ქედიდან ძირითადად ისეთი მონაწილეები იყვნენ გუნდში განვერიანებულნი, რომელთაც იარაღის ხმარება კარგად იციან და სპორტული ცხოვრებით აქტიურად არიან დაკავებული. ამდენად, სპორტის ამ სახეობის ათვისება და უპირატესობის მოპოვება არ გაგვიჭირვებია. თავიდანვე, როცა ტურნირი იგეგმებოდა, დიდი

ინტერესი წამოვიდა. იმდენად ბევრი მსურველი იყო, რომ ჩვენი სოფელი ორი გუნდით გავიდა თამაშზე. სულ სამი შეხვედრა ჩავატარეთ და სამივე მოვიგეთ“.

გიორგი ცისპარაული: „პირველად გაიმართა ამგვარი შეჯიბრი დედოფლისწყაროში და ძალიან საინტერესო გამოდგა. მე თვითონაც ჩართული ვიყავი და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. პირველ ტურში ჩემი გუნდი იგებდა, საბოლოოდ კი ქვემო ქედელებმა გაიმარჯვეს. მიმართა, რომ ეს აქტივობა ახალგაზრდებისთვის ნაყოფიერი იქნება. იმედი მაქვს, ტრადიციულ სახეს მიიღებს, მასშტაბები გაიზარდება, მეტი მსურველი იქნება და შემდეგშიც ხშირად ჩატარდება. სპორტის ეს სახეობა ახალი არ არის, მაგრამ საქართველოში დაახლოებით 10-12 წლის წინ შემოვიდა და ახლა დაინტერესებულნი გასულა. თბილისში წლებია უკვე არსებობს კლუბები და თამაშობენ. საბრძოლო უნარების განვითარებას უწყობს ხელს, იარაღის სწორად გამოყენების ათვისებაში ეხმარება და სამომავლოდ სამხედრო სამსახურის მსურველებს ეს გამოცდილება ძალიან წაადგებათ.“

ფეინთბოლის ფედერაციამ მოგვმართა წერილით და შემოგვთავაზა ტურნირის ჩატარება. ჩვენ ახალგაზრდებთან

მუდმივად გვინებს მუშაობა და გვაქვს კონტაქტები. 15 წლის ზევით დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს გამოეკითხეთ აზრი, ახალგაზრდებიდან დიდი ინტერესი მოდიოდა. მერიამაც მხარი დაგვიჭირა. 40 მონაწილე 8 გუნდში გადანაწილდა და საოცარი შეჯიბრება გამოვიდა. ვინაიდან ეს რისკის შემცველი სპორტია და მონაწილეებს გამოცდილებაც არ ჰქონდათ, ფეინთბოლის ფედერაციის ინსტრუქტორებმა ადგილზე სპეციალური ფეინთბოლის იარაღების მონმარების ტრენინგი ჩატარეს, 100

პროცენტით დაცული იყო მონაწილეების უსაფრთხოება. იყო სპეციალური ფორმები და დამცავი ნიღბები. შეჯიბრების მსვლელობისას მსაჯები უსაფრთხოების ნორმებს ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ძალიან მეგობრული გარემო იყო, ახალგაზრდები ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. დადებითი მუხტი იმხელა იყო ახალგაზრდებში, რომ თამამად შემიძლია ვთქვა, ამ სიახლემ მოლოდინებს გადაჭარბა“.

ილია მარტყოფლიშვილი



„მილიონობით დოლარი დაიხარჯა, რომ შელახულიყო ჩვენი ქვეყნის იმიჯი და რეპუტაცია“

„ბოლო ერთი წელია ატყუებენ საზოგადოებას არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით, არამედ მთელ მსოფლიოში. სააკაშვილის გარემოცვამ აწარმოა კამპანია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ მოწამლა სააკაშვილი, აწამა, მოკლა და გაცოცხლდა“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, წლიური ანგარიშით გამოსვლისას, ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით განაცხადა.

ლარიაშვილის განცხადებით, ამ კამპანიის წარმოებისთვის, რომელმაც მისი თქმით, დააზიანა ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები და შელახა საქართველოს იმიჯი, სააკაშვილის ოჯახმა მილიონობით დოლარი გადაიხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს კამპანია სააკაშვილის გარემოცვამ აწარმოა უკრანიაში მიმდინარე ომით შექმნილი გამოწვევების დროს, მაშინ, როდესაც საქართველო კანდიდატის სტატუსის მიღებას ელოდება.

„ბოლო ერთი წელია ატყუებენ საზოგადოებას არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით, არამედ მთელ მსოფლიოში აწარმოეს კამპანია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ მოწამლა სააკაშვილი, აწამა, მოკლა და გაცოცხლდა და ა.შ. ამაში თქვენმა ბელადმა და მისმა ოჯახმა მილიონობით დოლარი გადაიხადა, რომ შეელახა ჩვენი ქვეყნის იმიჯი და რეპუტაცია. თანაც რა დროს, მეგობრებო, როცა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა უსაფრთხოების რისკებია, ომი უკრაინაში, რომელზეც არავინ იცის, როგორ დასრულდება და რა შედეგს მოიტანს ეს ომი. ეს ომი ჩვენ ყველას გვეხება. ამ ომმა შეიძლება შეცვალოს მთელი მსოფლიო ნესრები, ევროპის მთლიანი უსაფრთხოების არქიტექტურა და ამ დროს, ასეთ ვითარებაში, მითუმეტეს, როცა ჩვენ ველოდებით კანდიდატის სტატუსს. როცა დადიხართ, დარბიხართ მთელ მსოფლიოში, იხდით მილიონებს, უკვეთავთ ტელევიზიებში სატელევიზიო ინტერვიუებს... ყოველ კვირა ფინანსდებოდან კონკრეტულ მედიასაშუალებებში ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ჩვენი ხელისუფლება აწამებს, კლავს, ტანჯავს სააკაშვილს რუსე-

„უმოკლეს პაპში ნარკოტიკებით კონკრეტულ ინისიბივებს“

პრემიერის თქმით, არის ძალიან ბევრი საინტერესო ინიციატივა.

„ძალიან მოკლედ მინდა აღვნიშნო ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც არის ჩვენი ქვეყნისთვის, ეს არის დემოგრაფიული საკითხები. ამის თაობაზე, მოგეხსენებათ, ჩვენ პარლამენტთან ერთად დავინყუეთ აქტიური მუშაობა, შექმნილია შესაბამისი სამუშაო საბჭო და ამ მიმართულებით ჩვენი ბოლო შეკრების გადაწყვეტილება იყო შემდეგი: შეი-

„ჩვენ არ ვიხით, ეს ბავშვები სად მიჰყავთ და რა მიზნით“

„ჩვენ გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება და აღმოვაჩინეთ, რომ არც ერთ განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოში არ არის დამკვიდრებული სუროგაცია“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა, ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, შესწავლილი იქნა განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება და ამის საფუძველზე იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

„მე მოვისმინე ძალიან ბევრი პრობლემის შესახებ, რომელიც არსებობდა და უკავშირდება სუროგაციის საკითხებს. ჩვენ გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება და აღმოვაჩინეთ, რომ არც ერთ განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოში არ არის დამკვიდრებული სუროგაცია. ჩვენ მიდგომა შეცვალეთ, ასევე

თის დავალებით და ბოლოს რეზიუმე იყო გაკეთებული, ამითივე დაკვეთით, რომ არ შეიძლება ასეთი ხელისუფლების დროს სტატუსი მიეცეს საქართველოს. გამაგებინეთ, რა ჰქვია ამას თუ არა ლაღატი? ეს არის საბოტაჟი, ჩვენი ქვეყნის ინტერესების ლაღატი, ჩვენი ხალხის ინტერესების ლაღატი. ჩვენ მოგვინია ძალიან ბევრი უხერხული კადრის გასაჯაროება, მაგრამ სხვა გზა არ დავგიტოვეს გარდა იმისა, რომ სიმართლე დაგვეცვა. ჩვენ შევძელით სიმართლის დაცვა - სტრასბურგის სამართლო მიიღო ერთადერთი სწორი, სამართლიანი, ღირსეული გადაწყვეტილება, როცა უარი უთხრა მათ ბელადს და მთელი სიცრუეზე აგორებული კამპანია დაასრულა ერთი გადაწყვეტილებით. რატომ არ ამბობენ? გამოვიდნენ და თქვან, ბოდიში მოიხადეთ ყოველ დღე ჩვენი ქვეყნის ინტერესების ლაღატისთვის, ჩვენი ქვეყნის იმიჯის, რეპუტაციის შელახვისთვის“, - განაცხადა ლარიაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოს მოსახლეობას ევროპულ ღირებულებებზე ესაუბრება რეჟიმი, რომელიც პატიმრებს აწამებდა და ადამიანებს ბიზნესს ართმევდა.

„როდესაც ჩვენს საზოგადოებას მიმართავენ და ესაუბრებიან ჩვენს ევროპულ მომავალზე, გავასხენოთ ჩვენს ხალხს, ვინ ესაუბრება ევროპულ სტანდარტებზე, სასამართლოზე, კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებზე. ვინ და მე გეტყვით, სისტემა, რეჟიმი, რომელიც ადამიანებს კლავდა, აწამებდა, აუპატიურებდა, ტანჯავდა, ბიზნესს, სახლებს ართმევდა და ოჯახებს ანადგურებდა, ჩვენს ტერიტორიებს კარგავდა და ლაღატობდა, ყოველ დღე, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, ეს დღეს ევროპულ მომავალზე გველაპარაკება, ჩვენი ხალხი ბრძენია და ჩვენი ხალხი კარგად ხედავს სხვაობას. დაასრულეთ საბოტაჟი და დაასრულეთ ქვეყნის ინტერესების ლაღატი!“ - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა პარლამენტში, წლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

ქმნა სამუშაო ჯგუფები. ჩვენ უმოკლეს ვადაში წარმოგადგენთ კონკრეტულ ინიციატივებს, პაკეტს, რომელიც იქნება მიმართული, ზოგადად, დემოგრაფიული საკითხების გაუმჯობესებაზე და ზოგადად, ოჯახების გაძლიერებაზე.

არის ძალიან ბევრი საინტერესო ინიციატივა, რომლებსაც ძალიან მალე წარმოგადგენთ განსახილველად და დასამტკიცებლად“, - განაცხადა პრემიერმა.

სხვა, ჰიბრიდული მაგალითებიც დავამუშავეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია, ჩაიკეტოს და აეკრძალოს უცხოელ მოქალაქეებს საქართველოს მოქალაქეების გამოყენება სუროგატ დედად, იმიტომ, რომ უკონტროლოდ ხდება ეს პროცესი, არავითარი რეგულაცია არ არსებობს ამ მიმართულებით. ხდება ბავშვების გაყვანა და ძალიან ბევრი რისკები ახლავს ამ პროცესს. ჩვენ არ ვიცით, ეს ბავშვები სად მიჰყავთ, რა მიზნით მიჰყავთ და ა. შ.

გამოვედით ინიციატივით, რომ სუროგაცია დამკვიდრებული იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის. ძალიან ბევრი ნყვილი მიმართავს ამ მეთოდს და მიმართავს, რომ ეს არის სწორი გადაწყვეტილება. იმედი მაქვს, რომ პარლამენტი განიხილავს და მხარს დაუჭერს აღნიშნულ კანონპროექტს“, - განაცხადა პრემიერმა.

ცვლილებები, რომლებიც ივლისიდან ამოქმედდება

პირველი ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება 200 ლარი გახდება

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2023 წლის ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვები 150 ლარის ნაცვლად 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ. ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, ამ პროგრამისთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტს 70 მლნ. ლარი დაემატება. ჯამში, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის 200-ლარიანი დახმარების გადასახდელად, წლის განმავლობაში სახეობრივ მილიარდ ლარამდე იქნება გამოყოფილი. აღნიშნული ცვლილება შეეხება დაახლოებით 233 000 ბავშვს.

ივლისიდან კაკაოსა და შოკოლადის პროდუქტების შესახებ რეგულაციები ამოქმედდება

„ტექნიკური რეგლამენტი მოხმარებისთვის განკუთვნილი კაკაოსა და შოკოლადის პროდუქტების შესახებ“ 2021 წელსაა გამოქვეყნებული და ივლისიდან შევა ძალაში. ეს დაარეგულირებს იმ საკითხს, რომ კაკაოსგან დამზადებულ სხვადასხვა პროდუქტს თავისი სახელი ერქვას. ამ რეგლამენტის მიზანია, ისევე როგორც სხვა პროდუქტებთან დაკავშირებით მსგავსი რეგლამენტების, არის ის, რომ მოხმარებელი არ შეიძლება შეცდომაში და ყველა პროდუქტს თავისი სახელი ერქვას. შოკოლადის რეგლამენტი განსაზღვრული და დაწერილია ევროპულ სტანდარტებს შესაბამისად და აღწერილია, რა შემთხვევაში შეგვიძლია დავარქვათ ამა თუ იმ კაკაოს პროდუქტს შოკოლადი.

საპარკოვო მიკრობანკების ლიცენზირება იწყება

საქართველოში მიკრობანკების ლიცენზირების ადგენის წესი ივლისიდან ამოქმედდება. მიკრობანკების ლიცენზირების წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკრობანკების ლიცენზირების საკითხებს, ასევე უცხოური სანდო ბანკის შვილობილ კომპანიაზე, უცხოური კომერციული ბანკის/მიკრობანკის ფილიალსა და შვილობილ მიკრობანკზე ლიცენზირების გაცემის წესს. ბრძანების მიხედვით, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზირების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ეროვნული ბანკი. ამასთან, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია გაცივდება განუსაზღვრელი ვადით და მისი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.

ივლისიდან ქვეყანაში პენიონების პრაქტიკის შესახებ კანონი უნდა იქნას

2023 წლის ივლისიდან საქართველოში პენიონების, პენიონების ნაწილების ან პენიონების ელემენტების ენერგოეფე-

რეგულირების სააგენტო 563 ფარმაცევტული პროდუქტის დაარსების რეგულაციები

ფარმაცევტული ბაზრის რეგულაციის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხარისხიანი მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ჯანდაცვის მინისტრის ინიციატივით, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო სამკურნალო საშუალებების პროაქტიულად არეგისტრირებს.

ჩვენ, კანონით მინიჭებული შესაძლებლობა გამოვიყენეთ და სხვადასხვა მედიკამენტის რეგისტრაციას, პროაქტიულად, კომპანიის მომართვის გარეშე ვახორციელებთ. ფარმაცევტულ კომპანიებს, შეუძლიათ, თამამად, ყოველგვარი ბიუროკრატიის გარეშე, პირდაპირ შემოიტანონ ქვეყანაში ეს ნაწილები.

იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი კომპანია, ანალოგ და შესაძლოა, უფრო შეღავათიანი ღირებულების ნაწილებს მიზანმიმართულად არ არეგისტ-

საინფორმაციო შეხვედრა დასაქმების ხელშეწყობისთვის

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით, თელავში, ადგილობრივ მენარმებთან, დამსაქმებლებთან და არასამთავრობო სექტორთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ, კახეთის რეა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს დირექტორმა, ნინო ველთაურმა აუდიტორიას სააგენტოს მიმდინარე პროექტები გააცნო. დისკუსიის ფარგლებში, მონაწილეებმა იმსჯელეს, სოციალურად დაუცველი

ქტურობის მინიმალური მოთხოვნები ამოქმედდება, რომელთა დამადასტურებელი დეკლარაციის წარდგენის გარეშე პროექტი სამშენებლო ნებართვას ვერ მიიღებს. აღნიშნული შეეხება როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორს.

ვიკატორია აბაიძის მოსახლეობის პროაქტიული რეგისტრაცია

ეროვნულმა ბანკმა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის წესი დაამტკიცა, რომელიც 2023 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება და რომლის მთავარ მიზანს, უწყების თქმით, საქართველოში მოქმედი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით რეგულირება წარმოადგენს. წესი ითვალისწინებს, როგორც ვირტუალური აქტივის მომსახურების სარეგისტრაციო მოთხოვნებს და ადმინისტრაციულ და მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს, ასევე რეგისტრაციის შემდგომ ვალდებულებებს.

საპარკოვო მიკრობანკების ლიცენზირების რეგულაციები

2021 წელს მთავრობამ საქართველოში ტყვიის შემცველობის რეგლამენტების წესი დაამტკიცა. რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს ქიმიური ნივთიერების ტყვიის და მისი ნაერთების დასაშვებ ზღვრული რაოდენობის შემცველობის შესახებ სამშენებლო გამოყენებისთვის განკუთვნილ საქართველოში არ უნდა შეიცავდეს 0.009%-ზე (90 პპმ-ზე) მეტ ტყვიას (მეტალურ ტყვიაზე გადაანგარიშებით) საღებავის საერთო არააქროლადი ნაწილის წონიდან ან საღებავის გამშრალი აპკის წონიდან. აღნიშნული რეგლამენტი 2023 წლის ივლისიდან ამოქმედდება.

თბილისის მერიის ღირსშესანიშნაობის პროგრამის სრულად - 120 ათასი ლარი დაფინანსდა

თბილისის მერიის ღირსშესანიშნაობის პროგრამის მქონე პირებისთვის ტრანსპლანტაციის სრულად - 120 ათასი ლარით დააფინანსებს. აღნიშნული ინიციატივით თბილისის მერია უერთდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რომლის მიხედვითაც, ღირსშესანიშნაობის ტრანსპლანტაციის პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით, 100%-ით დაფინანსდება. თბილისის მერის განმარტებით, აღნიშნული ცვლილება მიმდინარე წლის ივლისიდან შევა ძალაში. შეგახსენებთ, რომ აქამდე ოპერაციას სახელმწიფო და მერია 70 ათასი ლარით აფინანსებდა.

ტრირებს, ან კონკურენციის გამო, რეგისტრაციას აუქმებს, რათა სხვას არ შემოეთქანა პრეპარატი. ამ მექანიზმით კი, ეს რისკიც დაზღვეულია“, - განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ცვლილებების შედეგად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რეგულირების სააგენტომ, 563 ფარმაცევტული პროდუქტი დაარეგისტრირა. აღნიშნული ხელს უწყობს ფარმაცევტულ კომპანიებს ნაწილები ქვეყანაში გამარტივებული წესით შემოიტანონ.

პროაქტიული წესით, ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაცია მედიკამენტების იმპორტს კიდევ უფრო ამარტივებს და საქართველოს ბაზარზე, ფარმაცევტული პროდუქტის ფართო ასორტიმენტის არსებობას უზრუნველყოფს.



პირების ღია შრომის ბაზარზე გააქტიურებისათვის საჭირო ღონისძიებებზე. სააგენტოს ინიციატივით, საინფორმაციო შეხვედრები ქვეყნის ყველა რეგიონში მუდმივად იმართება.

«ბერიკონის» 10 წელი და ცარო მარტიაშვილის პარსკვლავი



დედოფლისწყაროში პირველი სახელობითი ვარსკვლავი კულტურის სახლის წინ გაიხსნა. ცერემონია კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრის «ბერიკონი» დაარსებიდან 10 წლის იუბილეს მიეძღვნა. «ბერიკონის» სამხატვრო ხელმძღვანელს, ამაგდარ ხელოვანს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, ცარო მარტიაშვილს, ვარსკვლავი გაუხსნეს. ამავე დღეს თეატრმა წარმოადგინა ვაჟა-ფშაველას სპექტაკლის «ბახტრიონი» პრემიერა, სადაც მსახიობის როლში პირველად გამოჩნდა დღის მთავარი გმირი, ცარო მარტიაშვილი. «შირაქთან» ამბობს, რომ ეს მისთვის პირველი და უკანასკნელი როლია. საიუბილეო სპექტაკლი საინტერესო იყო იმიტომაც, რომ ახალგაზრდა მსახიობებს 1970-იან წლებში წითელწყაროს სახალხო თეატრისთვის შეკერილი კოსტიუმები ეცვათ.

«სანათა ჩემი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟია. ძალიან მიყვარს და მინდოდა მისი როლი მომერგო. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ძალიან

როულია, ამიტომ სულ მინდოდა, რომ ამ შესანიშნავი მოტივაცია და სტიმული მიმეცა «ბერიკონელებისთვის». ეს იყო ჩემი პირველი როლი და ვფიქრობ, უკანასკნელიც, რადგან არ მინდა მსახიობის როლში ყოფნა, ვფიქრობ, ეს არ არის ჩემი მონოდედა, მირჩევნია ბავშვები დავაყენო სცენაზე. სხვა დროსაც მიფიქრია, ახალგაზრდულ თეატრთან ერთად სცენაზე დადგომა, მაგრამ ახლა, საიუბილეო თარიღის გამო, გავრისკე და ვცადე. თანაც, ამჯერად, სანათას როლმა მომცა შესაძლებლობა და გამოვიყენე,» - უთხრა «შირაქს» ცარო მარტიაშვილმა.

თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, თეატრის ხელმძღვანელს სურდა ყველა თაობის «ბერიკონელი» ამ დღეს სცენაზე ეხილა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი თაობის «ბერიკონელები» სხვადასხვა სფეროებში საქმიანობენ, მიზნის მიღწევა მაინც მოხერხდა და მასწავლებელი სცენაზე ათწლიანი ისტორიისა და ემოციების მონაწილე გახდა. ერთ-ერთმა პირველმა «ბერიკონელმა» ლიკა ლოლაშვილმა სცენაზე გამოსვლისას თეატრის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ცარო მარტიაშვილს ერთად გატარებული წლებისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა:

«ნამდვილად აღარ მეგონა, რომ თეატრის სცენაზე კიდევ მომიხვედდა დადგომა და ამ მტვერის შესუნთქვა, ბედნიერი ვარ, რომ ეს მოხდა. ქალბატონმა ცარომ მოახერხა და ათი წლის შემდეგ ყველა ერთად შეგვკრიბა და მონატრებულ სცენაზე დაგვყენა. დიდი მადლობა ყველაფრისთვის და თქვენი ღვაწლისთვის» - აღნიშნა ლიკა ლოლაშვილმა.

შთაბეჭდავი იყო ასევე პირველი თაობის ბერიკონელის, ნიკა შან-შაშილის არტისტიზმი, რომელიც ამჯერად ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს - კვირიას ასახიერებდა.

ტრადიციულად ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით დაჯილდოვდა ის 5 ბერიკონელი, რომელიც წელს სკოლას ამთავრებს და შესაბამისად, სტუდენტობის გამო «ბერიკონთან» დამშვიდობებაც მოუწევს.

ლონისძიებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო და შემოქმედებით ჯგუფს თეატრის იუბილე მოულოცა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: «რაც მეხსიერება მაქვს, ამ სცენაზე ქალბატონი ცარო მარტიაშვილი და მის გარეშე

აქაურობა წარმოუდგენელია. ცარო ნამდვილად შეუცვლელია. გული მწყდება, რომ ჩემს პერიოდში არ იყო ეს შესაძლებლობა, კარგი იქნებოდა «ბერიკონი» ცოტა უფრო ადრე შეგვექმნათ, რომ ჩემი თაობის მოზარდებსაც გვექონოდა თეატრის ხელოვნებასთან ზიარების შესაძლებლობა. ვუყურებ ამ ბავშვებს და ვრწმუნდები, რომ დრო სწრაფად გადის, მათი პირველი ნაბიჯები კარგად მახსოვს, ძალიან პატარები იყვნენ და ახლა გაზრდილები არიან. ქალბატონი ცარო როლში რომ ვნახე, ვერ ვიცანი, მეგონა ბერიკონის აღსაზრდელი, უფრო მეტი გამოცდილებით. პატარა ქვემო ქედმა გვაჩუქა ნონა ხუმარაშვილი, რომლითაც მთელი თელავი და კახეთი ამაყობს და ასევე გვაჩუქა ცარო მარტიაშვილი, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ.»

საიუბილეო საღამოს საპატიო სტუმრების რანგში ასევე ესწრებოდნენ პოეტი, კომპოზიტორი და მომღერალი, გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ლეილა ლეგაშვილი და თელავის თეატრის წამყვანი მსახიობები, ჩვენი თანამემამულე ნონა ხუმარაშვილი, ვანო იანტელაძე და ლალი გულიაშვილი.

(დასასრული მერვე გვერდზე)

როგორ ვიურთიერთობ მუნიციპალიტეტთან?



გაეროს ერთობლივი პროგრამის «გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში» დაფინანსებით მიმდინარე პროექტის «ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის» და ფონდი «პური მსოფლიოსთვის» პროგრამის ფარგლებში, ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრ «არბოშის» ახალგაზრდულმა საინიციატივო ჯგუფმა, 25 ივნისს მორიგი ტრენინგ/შეხვედრა გამართა.

ტრენინგის თემა გახლდათ «ურთიერთობა მუნიციპალიტეტთან - პროცედურები, მიმართულებები, ოფიციალური წერილები. როგორ ვისაუბროთ საჯარო უწყებებთან?», რომელსაც სამოქალაქო განვითარების ასოციაციის

(საგა) წარმომადგენელი თამუნა მუმლაძე უძღვებოდა.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის. ტრენინგის დახმარებით, მათ სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, საბოლოოდ, თავად ჩამოაყალიბეს თვითმმართველობის არსი, ფუნქცია, უფლება-მოვალეობები და ის, თუ რა შემთხვევაში ან როდის უნდა მივმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას. ასევე, მიმართვის რა ფორმები შეგიძლია გამოვიყენოთ ჩვენი ინიციატივისა თუ თხოვნა/მოთხოვნის სწორად წარსადგენად. «იმის ცოდნა, თუ როგორ ვიურთიერთობთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც გვსურს ჩვენი ინიციატივა გავაუღეროთ ან კონკრეტული პრობლემების მოგვარებისთვის ვითხოვოთ დახმარება. ეს აბსოლუტურად ჩვენი უფლებაა, რადგან ის თვითმმართველობები, რომლებიც დღეს საქართველოში არსებობს, ხალხის არჩეულია და მათ პირდაპირი ანგარიშვალდებულება აქვთ ხალხთან. მნიშვნელოვანია ასევე, ამ ურთიერთობებში ახალგაზრდების ჩართულობა, რადგან მათგან წამოსული ინიციატივები და პრობლემების გადაჭრის გზები, ხშირ შემთხვევაში დადებით შედეგს იძლევა და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებში არსებული თემების გაძლიერება/გააქტიურებას უკეთესი მომავლისათვის» - აღნიშნა ტრენინგზე თამარ მუმლაძემ.

ტრენინგში მონაწილეობდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრები და მოხალისეები, ასევე პროექტის კოორდინატორი ფუჟუნა ყანჩაშვილი და კოორდინატორის ასისტენტი ია გონაშვილი. შეხვედრა მაღალი ინტერაქტიულობით გამოირჩეოდა, რაზეც მონაწილენ ბავშვებისა და ქალთა ჯგუფის ჩართულობა.

შეგახსენებთ, რომ შეხვედრებზე დასწრება თავისუფალია. როგორც არბოშის ახალგაზრდულ საინიციატივო ჯგუფში აცხადებენ, ისინი მომავალშიც გააგრძელებენ საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრების ჩატარებას და მოსწავლე-ახალგაზრდების ინფორმირებულობას უკეთესი, ძლიერი და განათლებული თემისთვის.



ღერმონტოვის მკვლევარები დედოფლისწუარში

ახლან, მიხეილ ღერმონტოვის მუზეუმის ხელმძღვანელი ვალენტინა მალახოვა და მკვლევარები დედოფლისწუარის სტუმრობდნენ. გაირკვა, რომ ცნობილი რუსი პოეტისა და პროზაიკოსის ბიოგრაფიიდან დედოფლისწუარში ცხოვრების ეპიზოდი მათთვის დეტალურად ცნობილი არ იყო. მკვლევარები გაოცდნენ ვერ მალავდნენ, როცა ნახეს, რომ უნიკალური საარქივო მასალა დედოფლისწუარში დღემდე დეტალურადაა დაცული. მათ სოფელ ხორნაბუჯში სწორედ ის სახლი მოინახულეს, სადაც რუსი ცნობილი სახეები იკრიბებოდნენ და ამჟამად ხალხთა მეგობრობის მუზეუმი მოქმედებს.

ქაიტიანე მჭადლიძე (ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი): ჩვენთან ღერმონტოვის ბიოგრაფიის მკვლევარი დენის ზახაროვი იყო ჩამოსული, რომელიც ბიოგრაფიული წიგნის გამოცემას აპირებს და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მივანოდეთ. მას თავად ჰქონდა ინფორმაცია, რომ დედოფლისწუარში ასეთი მუზეუმი არსებობდა. შემდეგ, დედოფლისწუარის მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელმა გიორგი ნატროშვილმა მისაწოდა დამატებითი ინფორმაცია და თავისი სურვილით ჩამოვიდა.



სტუმრები ნეჩოლოდოვების სახლში

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პუბლიცისტი, მკვლევარი და ეთნოგრაფი **პატიკა ლისნოვი**, რომელიც ქალაქ დედოფლისწუარში 1934 წელს დაიბადა, ძირითადად რუსეთში ცხოვრობდა და წიგნებს გამოსცემდა, თუმცა, ჩვენს რაიონში სახლი ჰქონდა და თავის მშობლიურ კუთხედ დედოფლისწუარის მიიწვევდა. დაახლოებით, 10-12 წლის წინ გარდაიცვალა და სწორედ მის ნაწილებში ნახსენები, რომ ღერმონტოვი დედოფლისწუარში მსახურობდა. როგორც ჩანს მკვლევარებს ეს ინფორმაციაც ჰქონდათ. ლესნოვის ნაწარმოებში „ალანის ნაპირებთან“ შელამაზებულად და უფრო მხატვრულად არის აღწერილი ეს ამბავი. ჩამოსული სტუმრებისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი მასალა გვექონდა. როცა ნახა, რომ აქ ბევრი მასალა, ისევ დაბრუნდა. დედამისი ღერმონტოვის მუზეუმის დირექტორია და როცა მასთან ისაუბრა, გადამწყვიტეს დედასთან ერთად კიდევ ჩამოსულიყვნენ დედოფლისწუარში და ჩვენს მუზეუმს დანერგვით გასცნობდნენ. როგორც თქვეს, მათ ღერმონტოვთან ნათესაური კავშირიც აქვთ და ქალაქ ტამანში ღერმონტოვის სახელობის საშუალო სკოლა აქვთ დამთავრებული. ამჯერად მათ დაათვალიერეს ჩვენი ექსპონატები, მუზეუმში დაცული ინფორმაცია. ხაზგასმით აღინიშნეს, რომ ბიოგრაფიისთვის უცნობია, ღერმონტოვის საქართველოში გატარებული პერიოდის დეტალები. როგორც ჩანს, რუსული მხარისთვის უცნობია, რომ ის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა. დღევანდელი მუზეუმის შენობაში, რომელიც მაშინ ნეჩოლოდოვების საცხოვრებელი სახლი იყო, ღერმონტოვი ხშირად დადიოდა სტუმრად. სპირიდონ ჭავჭავაძის ჩანაწერების მიხედვით, რომელიც თავად კატენკას მოგონებებზე დაყრდნობით გააკეთა, ღერმონტოვი და კატენკა ერთად ცეკვავდნენ მაზურკას. ცნობილია ისიც, რომ მიუხედავად ნეჩოლოდოვზე ქორწინებისა, კატენკა ღერმონტოვის მიმართ გულგრილი არ იყო. როდესაც ღერმონტოვის გარდაცვალების ამბავმა „ცარსკიე კალოდეცი“ მოაღწია, ალექსანდრე ჭავჭავაძემ პოეტის ხსოვნის საპატივსაცემოდ თეთრი მარმარილოს აკლდამა ააგო ყარაღაჯში, სადაც პოლკი იყო დაბანაკებული. დღემდე შემონახულია თქმულება, რომ კატენკა პატივის მისაგებად ხშირად დადიოდა და შეილებთან ერთად ყვავილები მიჰქონდა ამ ძეგლთან. ლეგენდის თანახმად, ეს მარმარილო შემდეგში ქვემო მანჩხანელ კაცს მოუპარავს. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში დღემდე შემონახულია ღერმონტოვის აბრეშუმის ცხვირსახოცი, რომელიც გრიბოედოვის ქვრივის - ნინო ჭავჭავაძისთვის უჩუქებია. ამიტომაც, ვარაუდობენ, რომ ეს ძეგლი ღერმონტოვის პატივსაცემად და „დემონის“ ავტორის კახეთში ყოფნის უკვდავსაყოფად ალექსანდრე ჭავჭავაძემ ააგო, რომელიც იმ დროს სამხედრო კორპუსში მალალ თანამდებობაზე იყო.

ლექსების წერა ღერმონტოვმა 1828 წელს დაიწყო, გამოქვეყნება - 1837-დან. სახელი გაუთქვა ამავე წელს დაწერილმა ლექსმა „პოეტის სიკვდილი“, რომელიც სწრაფად გავრცელდა ხელნაწერის სახით. მძაფრი მამხილებელი პათოსის გამო მეფის მთავრობამ „რევოლუციის მოწოდებად“ მიიჩნია პუშკინის მკვლევლებისადმი მიმართული ეს ლექსი. ღერმონტოვი საქართველოში გადმოასახლეს და დედოფლისწუარში მდებარე ნიჟინი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში განაწესეს. პოეტმა საქართველოში 2-3 თვე დაჰყო (დაახლოებით 1837 ოქტომბერ-დეკემბერი), გაეცნო ქართველ მოღვაწეებს. საქართველოს წარმტაცმა ბუნებამ, ქართველთა თავისებურმა ყოფამ, ხალხურმა სიტყვიერებამ პოეტზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. 1837 წლის ბოლოს ღერმონტოვი რუსეთში დაბრუნდა. მოწინავე საზოგადოება აღფრთოვანებით ეგებებოდა მის ყოველ ახალ ნაწარმოებს. 1840 წელს ღერმონტოვი უმნიშვნელო საბაბით გადმოასახლეს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც რამდენიმე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა ქართველ ოფიცერ კ. მამაცაძე-მელითან ერთად. ინტრიგები ღერმონტოვის წინააღმდეგ კავკასიაშიც გრძელდებოდა. საბედისწერო გამოდგა პოეტის შეკამათება მაიორ ნ. მარტინოვთან, რომელმაც ლუელში გამოიწვია და 26 წლის ასაკში მოკლა პოეტი.

ღერმონტოვის შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, რომელიც პოეტის შთაგონების წყაროდ იქცა. ლექსები „ქართული სიმღერა“, „თერგის საჩუქრები“, „პაემანი“, „თამარი“ და სხვა. პოემა „მწირობი“ (1839), რომლის მოქმედების ფონი საქართველოა, განახორციელა ყრმობისდროინდელი ჩანაფიქრი თავისუფლებისმოყვარე ჭაბუკის შესახებ. „მწირო“ თავისუფლების, სამშობლოსა და ბუნებისადმი მიძღვნილი ჰიმნია. 1829 წლიდან ღერმონტოვი „დემონის“ სიუჟეტზე მუშაობდა; საქართველოში გადმოსახლების შემდეგ, მან ძირფესვიანად გადაამუშავა პოემის ადრინდელი რედაქციები, გამოიყენა ქართული ლეგენდები, შექმნა ქართველი ქალის თამარის - მომხიბლავი სახე. ღერმონტოვმა დიდი ამაგი დასდო რუსულ პროზას.

1803 წელს რუსმა გენერალმა ვასილ გულიაკოვმა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით დაარსა პირველი სამხედრო ციხე-სიმაგრე „ცარსკიე კოლოდეცი“ (დედოფლის წყარო), რომელმაც ბოლო მოუღო მტერთა თარეშს კახეთში. დროთა განმავლობაში სიმაგრის მიდამოები რუსულ დასახლებულ ადგილებად იქცა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1914 წლამდე, სისტემატურად იდგნენ პოლკები. დრაგუნთა პოლკს ორი რუსული სიმაგრე ეკავა: ყარაღაჯსა და დედოფლის წყაროში. რუსულმა დასახლებამ, რომლებიც მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ქიზიყელებთან ერთად, მთელი ისტორიის მანძილზე შემოინახა ენა, კულტურა და რელიგია. თუმცა, დედოფლისწუარო მაშინ ისტორიაში შევიდა არა იმდენად სტრატეგიული მნიშვნელობით, არამედ იმით, რომ აქ ასახლებდნენ რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. დედოფლის წყაროს ისტორიასთან დაკავშირებულია პუშკინის, ღერმონტოვის, დიუმას, ვივალდის და სხვა გამოჩენილ პირთა ცხოვრების ფურცლები.



ღერმონტოვის ძეგლი ყარაღაჯში

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი ზამთრობით იდგა ყარაღაჯში, რომელსაც დედოფლის წყაროდან სამი ვერსი ამორებდა, მაგრამ პოლკის მთელი ცხოვრება განუყოფელი იყო დედოფლის წყაროსთან. სწორედ აქ იდგა ნეჩოლოდოვების სახლი, რომელიც გადასახლებულთა თავმჯდომარის, მათი აზრების

გაზიარების, კამათისა თუ ოცნებების მთავარი ადგილი იყო. ოჯახის უფროსი **ბრიგორ ივანეს ძე ნეჩოლოდოვი** ახალგაზრდობაში სუვოროვის არმიამი მსახურობდა. უამრავი ჯილდო ჰქონდა, მაგრამ ჩამოაქვეითეს და 1822 წელს ნიჟეგოროდის პოლკში გამოგზავნეს. დედოფლის წყაროში სამუდამოდ დასახლდა შეილა და აყვანილ ეკატერინესთან ერთად. დაობლებული ჩერქეზი გოგონა სათანაისი (კატენკა) ყუბანის გადამწვარ ჩერქეზულ აულში იპოვეს. ნეჩოლოდოვმა იშვილა გოგონა პეტერბურგიდან გამოიძახა თავისი მეუღლე - პოლონელი გრაფინია ტიჟიკევიჩი, რომელმაც ობოლ ბავშვს დედობა გაუწია. ყუბანიდან დედოფლის წყაროში მომავალი გრაფინია გზად ვლადიკავკაზთან გულის ავადმყოფობით მოულოდნელად გარდაიცვალა. სათანაისი მეორედ დაობლდა. რუსმა ოფიცრებმა ის სანაქებოდ აღზარდეს. იგი მთელი პოლკის მფლობელი გახდა.

ამ სტუმართმოყვარე სახლში ღერმონტოვი შეხვდა ეკატერინე სათანაისს, სახლის ირგვლივ მშენიერი პარკი ხარობდა. ეკატერინეს სილამაზე და განათლება მისი სახლისკენ იზიდავდა გადასახლებულებს. აქ თბილი ატმოსფერო და ყურადღება ხვდებოდათ. წყაროებიდან ირკვევა, რომ ეკატერინე ღერმონტოვთან მეგობრობდა და თბილი გრძნობა სიკვდილამდე შემოინახა.

პეტრე ლესნოვი - გაზეთი შირაქი 1975

ტორი მარმარილოს მემორიალის ფოტო, ასევე ნეჩოლოდოვების საფლავების სურათები. ჩამოსულ სტუმრებს ვაჩვენეთ 1975, 1984 და 1988 წელს გამოცემული გაზეთი „შირაქი“, სადაც ვრცელი სტატიებია მოცემული ამ თემებზე. ნიგინისთვის, რომლის გამოცემამაც ჩვენი სტუმრები მუშაობენ, ვფიქრობთ, ფასეული მასალების მიწვდა მოვახერხებთ და კმაყოფილები წავიდნენ.

ლალი გურასპაშვილი (მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი): „ღერმონტოვს აქვს ლექსი, „ჯვარი კლდეზე“, სადაც ნახსენებია, რომ „ველის არწივები დაფრინავენ კლდის ჯვართან“. ერთადერთი ასეთი ჯვარი დედოფლისწუარში, ელიას მთაზე იყო აღმართული. ღერმონტოვს ეს სცენა თავად რომ არ ენახა და შთაბეჭდილებების ქვეშ არ ყოფილიყო, მონათხრობს ის ლექსად ვერ დაწერდა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ ლექსში დედოფლისწუარში მდებარე ელიას მთას გულისხმობს და ის სწორედ აქ ყოფნისას დაწერა.“

ლალი გაღაშვილი (მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი): „ღერმონტოვმა ცნობილი პოემა „დემონი“ დაწერა ყარაღაჯსა და თამარ მეფის ციხე-სიმაგრე ხორნაბუჯში ყოფნისას, სადაც ეს ადგილებია აღწერილი. ის ამტკიცებდა, რომ ნაწარმოების პერსონაჟის, თამარის პროტოტიპი იყო სწორედ 22 წლის ჩერქეზი ქალიშვილი - კატენკა ნეჩოლოდოვა. ლესნოვის სტატიების მიხედვით, ეკატერინა ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1887 წელს. დაკრძალულია აქვე.“

ამ სახლში ასევე სტუმრად იყო და ცხოვრობდა პუშკინის ძმა, ლევ პუშკინი. ერთხელ ალექსანდრე პუშკინი გამოიპარა და ძმის მოსაძებნად ჩამოვიდა, თუმცა, ის ომში იყო წასული და რად დაბრუნდა. ლევ პუშკინს ადგილობრივები ზემდეცასხეულად, მოფერებით „ლოვუმკას“ ეძახდნენ და დედობით განწყობას ასე გამოხატავდნენ.

ნეჩოლოდოვებს ორი ბიჭი ჰყავდათ, კიდევ ერთი შვილი პატარა ასაკში გარდაეცვალათ და სოფელ ხორნაბუჯის რუსულ სასაფლაოზე დაკრძალული. აქვეა გრიგოლ ივანეს ძე ნეჩოლოდოვისა და კატენკას საფლავებიც. მათი ერთი შვილი უკრაინაში გადასახლდა, მეორე ლენინგრადში. შვილთაშვილმა ლენინგრადში თავისი წარმოდგენის მიხედვით დახატა ჩვენთან მდებარე ნეჩოლოდოვების სახლი. როდესაც ჩვენს რაიონში დაბადებული მწერალი ლესნოვი დედოფლისწუარში ჩამოვიდა, ეს ნახატი მას გამოატანა და საჩუქრად მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა. ეს ნამუშევარი ახლაც მუზეუმშია დაცული.“

ილია მარტყოფლიძე

306 არიან უდიები და რიტი ჰაზანან ისინი ქართვალაზს?

2022 წელს უდიების საქართველოში დასახლების 100 წლისთავი აღინიშნა. თბილისში „კავკასიურმა სახლმა“ ორგანიზაცია „საქართველოს უდიებთან“ ერთად ამ მოვლენას ფოტოგამოფენა „უდიები - 100 წელი საქართველოში“ მიუძღვნა. ვინ არიან უდიები და როგორ არიან ისინი საქართველოსთან დაკავშირებულნი?

უდიები კავკასიის ალბანელთა შთამომავლები არიან. კავკასიის ალბანეთის სამეფომ ძვ.წ. III საუკუნეში დაიწყო ჩამოყალიბება დღევანდელი აზერბაიჯანის, სამხრეთ დაღესტნის და ამჟამინდელი კახეთის ერთი ნაწილის ტერიტორიაზე. ალბანელებმა, ქართველების და სომხების მსგავსად, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მე-4 საუკუნეში გამოაცხადეს. კავკასიის ალბანელებს გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა, რომელიც მე-9 საუკუნეში მათი სამეფოს ჩამოშლისთან ერთად ამოვარდა ხმარებიდან.

ალბანელთა დიდი ნაწილი მეზობელ და რეგიონში ახლადმოსულ ხალხთან ასიმილირდა, თუმცა უდიების ნაწილმა მოახერხა საკუთარი იდენტობის შენარჩუნება. დღეს უდიები კომპაქტურად აზერბაიჯანში, რუსეთსა და საქართველოში ცხოვრობენ. საქართველოში ერთადერთი უდიური სოფელი ზინობიანია, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. 1922 წელს, აზერბაიჯანის სოფლებიდან — ვართაშენიდან (ამჟამინდელი ოღუზი) და ყიშლაიდან უდიების ნაწილი საქართველოში გადმოვიდა და მამინდელ თელავის მაზრაში დასახლდა (ამჟამინდელ ყვარლის მუნიციპალიტეტში), რომელთაც მალევე დაიწყეს სოფლის მშენებლობა, რომელსაც მათი წინამძღოლი (ზინობი სილიკაშვილი) საპატივცემულოდ „ზინობიანი“ ეწოდა.

უძველესი წარსულისა და ადგილსაცხოვრების შესახებ ცნობები ძველდროსავე არსებობს. უდიების წინაპრები იყვნენ ძვ.წ. III ათასწლეულის შუმერულ-აქადურ ტექსტებში დამოწმებული კუტიები (გუტიები), რომლებიც მთიანი ზაგროსის უძველეს მოსახლეობას შეადგენდნენ. ბაბილონური წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ კუტიების შემოსევამ ძვ.წ. III ათასწლეულში დაამხო აქადური დინასტია. კუტიების ბატონობა მესოპოტამიაში დაახლოებით 125 წელს გრძელდებოდა და მათი უკანასკნელი მეფე ტირაკანი ურუქის მბრძანებელმა უტუხეგალემ დაამარცხა. შუამდინარეთიდან სამშობლოში (სამხრ. აზერბაიჯანში) დაბრუნებული უდიები ლუღუბების მიერ იქნენ შევიწროებული და იძულებულნი გახდნენ ამიერკავკასიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში დასახლებულიყვნენ. ურარტული ლურსმული წყაროები მათ ეტიუხენის სახელით მოიხსენიებენ. მკვლევართა ერთი ნაწილი „ეტიუხებს“ ანტიკური წყაროების „უტიებთან“ („ტიებთან“) აიგივებს.

იმ ავტორებს, რომლებიც კავკასიის ალბანელების ისტორიის, გეოგრაფიის, ენისა და კულტურის საკითხებს სწავლობდნენ, გამოთქმული აქვთ სხვადასხვა მოსაზრებანი: უდიები ალბანელების შთამომავლები არიან (ა. იანოვსკი, ა. კრიმსკი, ა. ბოლტუნოვა, ი. მემჩანინოვი, ზ. იამპოლსკი, გ. მელიქიშვილი, კ. ტრევერი, ფ. მამედოვა), უდიების სამშობლო ჰერეთია (მ. ჯანაშვილი), უდიები ნოეს შთამომავლები არიან (მ. ნეშუმევილი), უდიები ცხოვრობდნენ მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირე-

ბზე ალანის შესართავთან (კ. ტრევერი), უდიები ცხოვრობდნენ მდ. არაქსის სამხრეთით, ირანის აზერბაიჯანში, ე.ი. იქ, სადაც შუმერულ-აქადური წყაროების მიხედვით ლოკალიზდებიან კუტიები. I საუკუნეში უტიებმა ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და არაქსმა გაყო მათი მიწები — ოტენა (ძირიდან „ოტ“-„უტ“) ატროპატენასაგან. II საუკუნეში უტიები მდინარე მტკვართან აღმოჩნდნენ (ი. ალიევი).

უდიებს დღემდე შემონახული აქვთ უძველესი 51 ასობგერეანი, უნიკალური ფონეტიკური სისტემის მქონე ენა და კულტურის გამოკვეთილად განვითარებული ნიშნები. სოფელ ზინობიანში 2002 წლის მონაცემით 420 უდი ცხოვრობდა. ასეთი ნიშნის უდიები საქართველოში 900-მდეა. გაფანტულად, სხვადასხვა ქვეყნებში კი 1700-მდე. უდიების მეორე მიმართულება მონოფიზიტი უდიები არიან, რომლებიც აზერბაიჯანში, სოფელ ნეჟში ცხოვრობენ.

სულ, მსოფლიოში 10.000-მდე უდი ცხოვრობს. 1900 წელს უდიების 8, 1989 წლიდან კი 2 სოფელია გადარჩენილი. ამას ემატება ის, რომ 1938 წლიდან უდიური ენის სწავლება ზინობიანში საერთოდ შეჩერდა. გაიზარდა მიგრაცია. უდიების კომპაქტური დასახლება სხვაგან არ გვხვდება. ენა და კულტურის ნიშნები ამკარა გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. უდიური ენის პირველი სახელმძღვანელო „სამჯი დას“ შეადგინა თევდორე ჯეირანიშვილმა (ჯეირანი თეოდორე), პროფ. ევგენი ჯეირანიშვილის მამამ და ეს წიგნი 1934 წ. სოხუმში გამოიცა - იმ დროს უდიების გადასახლება კახეთიდან აფხაზეთში იგეგმებოდა. უდიურ ენას აქვს ორი დიალექტი: ვართაშენულ-ზინობიანური და ნიჯური. ეს ენა ხმოვანთა რთული და თანხმოვანთა მეტ-ნაკლებად რთული სისტემით გამოირჩევა: 13 ხმოვანი და 38 თანხმოვანი. უდიურს მოეპოვება ყველა ის ბგერა რაც აქვს ქართულს. ქართულთან მსგავსება გვაფიქრებინებს ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების კულტურულ სიახლოვესა და საერთო ისტორიულ წარსულზე. საუკუნოვანი თანაცხოვრებისა და საერთო გეოლოგიკურ სივრცეში ყოფნის გარეშე, რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელი იქნებოდა. ქართულ-უდიური ეთნიკური სიახლოვე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ანთროპოლოგიური მონაცემების შედარებისას. საფიქრებელია, რომ უდიური ენა (ალბანური) სამხრეთ კავკასიაში ქართულ და სომხურ ენებთან ერთად წარმოადგენს ჩვენთვის ცნობილ ყველაზე ძველ ენებს. ამიტომაც უდიურის მსგავსება სომხურთანაცაა მოსალოდნელი. დღეს უდიურ ენას არ აქვს კავშირი მის ირგვლივ მცხოვრებ აზერბაიჯანელების ენასთან, თუმცა ცხადია, რომ უდიების მონათესავე სხვა ალბანური ხალხები ტრანსფორმირდნენ თანამედროვე აზერბაიჯანელების სახით.

უდიების ისტორიულ, კულტურულ, ეთნოგრაფიული მუზეუმი სოფელ ზინობიანში 2002 წელს გაიხსნა. მუზეუმის ავტორი და სულის ჩამდგმელი იყო მამული ნეშუმევილი. ყოველგვარი კერძო ინდივიდუალური შემოქმედების და ინტელექტუალური შრომის ნაწილი, რომელსაც გააჩნდა კონკრეტული მიზანი და მის მიერვე მოფიქრებული კონცეფცია 2001 წელს. მუზეუმის შექმნის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა: უდიების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში, მათი კულტურის და ისტორიის წარმოჩინება, პოპულარიზაცია. ყველასათვის მოულოდნელად მუზეუმს დიდი რეზო-

ნანსი მოჰყვა. სიუჟეტები წამყვან მედია საშუალებებში, საგაზეთო რეპორტაჟებში, გადაიღეს დოკუმენტური ფილმები, და უამრავი მნიშვნელოვანი ვიზიტორი, რომელთა შთაბეჭდილებები დაფიქსირებულია ჩანაწერების ნიგნში.

სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებელი ამბობს, რომ უდიებს მშობლიურ მიწაზე და შემდეგ უკვე საქართველოშიც მოჰყავდათ ვენახი, აკეთებდნენ ღვინოს და პირველი, რაც საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ დაიწყეს ვენახის გაშენება, მარანი და ღვინის ქვევრში დაყენება ყოფილა. ქართველებსა და უდიებს საკმაოდ ბევრი საერთო აქვთ: სარწმუნოება, ღვინის დაყენების ტრადიცია, რიტუალები და ა.შ. უდიები აბრეშუმისა და აგურ-კრამიტის წარმოებითაც იყვნენ დაკავებულნი.

უდიური გვარების დაბოლოება განპირობებულია მათი საცხოვრებელი ადგილით. აზერბაიჯანში მცხოვრები უდიების გვარები ორი სუფიქსითაა წარმოდგენილი: ნიჯელთა გვარები სომხური სუფიქსით „იან“ არის ნაწარმოები, ხოლო ვართაშენელებისა რუსული სუფიქსით „ოვ“. საქართველოში მცხოვრები უდიების გვარები კი ქართული სუფიქსით - „შვილი“- არის გაფორმებული. ასევე არიან ისინი დარეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უდიები ერთმანეთთან საუბრისას ამ სუფიქსებს არ გამოიყენებენ. როგორც აღნიშნავენ, თითოეულ გვარს თავისი უდიური ფორმა აქვს. სოფ. ზინობიანში მცხოვრები უდიები გვარების მიხედვით არ ცხოვრობენ. ზინობიანში გადმოსახლდა მხოლოდ რამდენიმე გვარი, რომლებიც ერთად დასახლეს ალნიშულ ადგილას. მათ აქვთ სალოცავი ნიში „ვეელ“, რომელიც შედგება ვართაშენის სალოცავ „ნიმერიდან“ წამოღებული ქვის, მინისა და ჯვრისაგან. უდიებს ოდიტან-ვე ახასიათებთ ნათესაობის სამი ფორმა: სისხლითი, მოყვრობითი და ხელოვნური. სისხლითი ნათესაობის აგნატური კატეგორიის შიგნით ქორწინება აკრძალულია შეიდ თაობამდე, კონკრეტული კატეგორიის შიგნით თაობათა ზღვრის დაუდგენლად. მოყვრობითი ნათესაობისას ქორწინება ეკრძალებათ დაქორწინებულთა ოჯახის წევრებს. ხელოვნური დანათესავების შემთხვევაში მოქმედებს იგივე აკრძალვები, რაც სისხლითი ნათესაობისას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უდიები დაქორწინებისას ჯერ სარწმუნოებას ანიჭებენ უპირატესობას და მერე ეროვნებას. ნიჯელების მიერ სომხური მრწამსის მიღების შემდეგ, ვართაშენელებისთვის ქორწინებითი ურთიერთობებისთვის უფრო მისაღები ერთმორწმუნე ინგილოები აღმოჩნდნენ. უდიებში ქორწინებისათვის მისაღები ასაკი ქალისთვის 12-15 წელი იყო, ხოლო ვაჟისთვის 15-17 წელი. დასაქორწინებლად ქალს რელიგიური დღესასწაულისას ირჩევდნენ. ეს ხდებოდა ქალის წარმომადგენელთან არყის დაღვევით, ქალისათვის მანდილის სროლით, საქანელაზე ჯოხის შეხებით, ან სხვ რაიმე ნივთის დაღვევით. უდიებმა იცოდნენ გარეგნით ქორწინებაც. ამას თავის წესი ჰქონდა, ისევე როგორც ქორწინის, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან.

უდიური სადღესასწაულო და არა მარტო სადღესასწაულო კერძები ძალიან მრავალფეროვანია. მათგან შეიძლება გამოვყოთ: ერბოს ფლავი, რომელიც მზადდება ქიმშითი, ნაბლით, ქათმის ხორცილითა და ბრინჯით, ლობოს ფლავი - მზადდება



ლობოთი და ბრინჯით; გოზინაყი - დანაყული ნიგვითა და თაფლით.

რელიგიური დღესასწაულებიდან აღსანიშნავია ბზობის კვირა, აღდგომა და ფერისცვალება. ბზობის კვირაში გოგონები და პატარაძველები ეკლესიაში მიდიოდნენ ნირვაზე. ეკლესიასთან იკრიბებოდნენ უდიები აღდგომის წინა დღესაც, მზის ჩასვლისას. აქ ისინი კლავდნენ შესანიშნავებს, ზეიმობდნენ და ღირებებისთვის იღებდნენ მონყალბას. აღდგომის მეორე დღეს სასაფლაოზე გადიოდნენ. მესამე დღეს კი დიდ ეკლესიაში „ქალა გერგეც“, რომელიც ვართაშენში იყო. აქ მოდიოდნენ როგორც ნიჯელები, ასევე სომხებიც, რომლებიც „იელიმ არაქელის“ უწოდებდნენ. ფერისცვალებისას კი ახალგაზრდები იკრიბებიან ეკლესიასთან, ცეკვავენ და ერთმანეთს სიმღერებში ეჯიბრებიან. აქვე გოგოები საქანელაზე ქანაობენ, სადაც ხდება ხოლმე მათი დათავისების რიტუალის შესრულება.

უდიური ტრადიციული სამოსი ჩოხა-ახალუხია, ქართულ-კავკასიური კულტურის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლენა. ტრადიციული სამოსის ტრადიციულ დღესასწაულებზე (და არა მარტო) ტარება ჩვეულებრივ მოვლენადაა ქვეული. ნეს-ჩვეულებრივებიდან დაკრძალვის რიტუალზე საფიქრალია, რომ უფრო ჩრდილო კავკასიის გავლენაა, ვიდრე ქართული. ხოლო უდიების რწმენა წარმოდგენა კეთილ და ბოროტ სულებზე, ქართულ მენტალობასთან აახლოებს, რადგანაც ქართულ ხალხურ წარმოდგენებშიც არსებობენ კეთილი სულები, ადამიანის დამხმარეები და ბოროტი სულები (ჭინკები და სხვა), რომლებიც ხელს უშლიან ადამიანებს კეთილ საქმეებში.

უდიებისა და ქართველების ისტორიულ-გენეზისური კავშირი იმაზე დიდია, ვიდრე ამაზე მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ყველაფერმა კი ასახვა ჰპოვა ქართველებისა და უდიების ანთროპოლოგიურ იერში. მომავალმა კვლევებმა უნდა ცხადდეს უდიების მონათესავე ეთნოსთა დღევანდელი რეალობის სურათი უდიებზე არსებული მასალების გამოყენებით.

მომზადდა
შუშუნა ყანაშვილი

ბავშვობა ყველაზე ბრწყინვალე და უდარდელი დროა. ეს დრო სავსეა ჯადოსნური და გულწრფელი სიხარულით, თამაში ოცნებებით. ბავშვების განვითარებაზე და განათლებაზე ზრუნვა ადრეული ასაკიდან იწყება, ამაში დიდ როლს ასრულებენ საგანმანათლებლო დაწესებულებები. სწორედ სააღმზრდელო ცენტრებში ხდება ბავშვების აღზრდა და მომზადება სკოლისთვის.



ბაღიდან - სკოლაში

დედოფლისწყაროს სკოლამდელ დაწესებულებებში ბოლო ზარი დაირეკა 5-6 წლიანთა ჯგუფების აღსაზრდელებმა ბაღი და თავიანთი აღმზრდელები დატოვეს. ეს დღეები საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა მუნიციპალიტეტში, მაგრამ დღესასწაულს გამოსამშვიდობებელი სევედაც ახლდა თან. პატარებს სკოლისაკენ გზა დაულოცეს საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებმა, აღმზრდელ-მასწავლებლებმა, მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლებმა. პირველი აღსაზრდელი გააცილეს წელს სკოლაში საბათლოს ახლადგახსნილი საბავშვო ბაღიდან. „ჩემო ნიჭიერო პატარებო, გილოცავთ ცხოვრების ახალ ეტაპზე გა-

დასვლას. სულ მალე შეაღებთ სკოლის კარს. უკვე გაიზარდეთ. აქედან იწყება თქვენთვის ცოდნის დაუფლების დიდი გზა. წინ ლამაზი და საინტერესო ცხოვრება გელოდებათ. გისურვებთ ზღაპრული ფერებითა და ნათელი ემოციებით სავსე ბავშვობას. მუდამ ბედნიერება და ღიმილი გინათებდეთ თქვენს ლამაზ სახეებს. იყავით მონდომებულები, შრომისმოყვარეები, მიზანდასახულები. არასდროს არ შეგეშინდეთ არაფრის, მოინდომეთ და ყოველთვის ყველაფერი გამოგივათ, რადგან თქვენს მონდომებაზე დამოკიდებული თქვენი მომავალი ცხოვრება. გილოცავთ! გზა მშვიდობისა!“- ასე დაულოცა გზა დედოფლისწყაროელ სა-



ბავშვო ბაღების აღმზრდელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელმა ირმა ჯანაშვილმა. ჩვენს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღი წელს 200 აღსაზრდელმა დაამთავრა. გაზეთი „შპრაქი“ ულოცავს ნორჩებს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას და ბედნიერ და ნაყოფიერ სწავლების წლებს უსურვებს.

„აღიარების წყურვილი ცივილიზაციის ადამიანის ყველაზე თვალსაჩინო ინსტიტუტია, რომელშიც კარგად ჩანს პიროვნების ხასიათის სუსტი თუ ძლიერი თვისებები“
 უილიამ სომერსეტ მოემი.

„შენს...?!“ - წყენის განცდა (ბე-2 ნაწილი)



წინა წერილში აღინიშნა, რომ წყენის განცდის ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ფაქტორი ჩვენი იმედების, ანუ ჩვენი სუბიექტური მოლოდინის განუხორციელებლობაში მდგომარეობს. მაგრამ თვით სუბიექტურ მოლოდინსაც თავის მხრივ განაპირობებს გარკვეული მოტივი, რომელიც გარეგნულად არც ისე მკვეთრად შეიმჩნევა, თუმცა მისი ღირებულება ჩვენი ცნობიერებისა და პიროვნული ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს. ეს არის ყურადღების ანუ სხვისი მხრიდან ჩვენი აღიარების მოთხოვნილება.

წყენის განცდა შეიძლება სწორედ იმით იყოს გამოწვეული, რომ გარკვეულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში „საფრთხე“ ექმნება სხვა ადამიანის (ადამიანების) მხრიდან ჩვენს აღიარებას. თუ შევამჩნიებთ, რომ სხვების მხრიდან ჩვენდამი მომართულ პატივისცემას, სიმპათიას ან სიყვარულს ჩვენთვის სასურველი ხარისხობრივი სიმტკიცე აკლია, ეს უკვე იდეალური ბაზაა წყენის განცდის აღმოცენებისათვის. ასეთ დროს ჩვენი რეაქცია სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს (ფიზიკური ტკივილის განცდის დროს აღმოცენილი საპასუხო რეაქციის მსგავსად) თავშეკავებული ან თავშეუკავებელი, რის განსაზღვრაც შედარებით ადვილია ემოციების „დემონსტრირების“ გარეგნული გამოხატულების მიხედვით. ცხადია, რომ თავშეკავებულობა, საკუთარ ემოციებზე ბატონობა ან სულაც სხვა ადამიანების ბედზე ზრუნვა (რომ ჩვენმა წყენამ მასში მიმი, შეურაცხყოფა ან უხერხულობის განცდა არ გამოიწვიოს) ყოველთვის მოუძებნის გონივრულ საზღვრებს ნებისმიერი ხარისხის სულიერ ტკივილს, ზოგჯერ კი შეიძლება საერთოდ შეუმჩნეველი ან გამოუთქმელიც დარჩეს („სჯობს ჩემი ტკივილები სხვას არ მოვახვიო თავს“).

ფიზიკური ტკივილის განცდის მსგავსად, წყენის განცდაც გარკვეული სიგანისა, რომლის გულისყურით მოკვლევა საკუთარი სულის მდგომარეობის არამყარი მომენტების აღმოჩენამდე მიგვიყვანს. საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილი ნაწყენი ადამიანის გულწრფელი და სიღრმისეული განსჯა აუცილებლად იწვევს, როგორც საკუთარ, ისე სხვა ადამიანების ქცევის ობიექტურ შეფასებას, თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წყენის განცდა აუცილებლად გაქრება: იგი შეიძლება აღშფოთებით, მრისხანებით ან სინანულით შეფერადდეს, მაგრამ ეს უკვე მხოლოდ წყენის განცდა კი არა, არამედ უფრო რთული და ძნელად ასახსნელი დახშული სულიერი ტკივილია, რომელსაც რეალობის ახლებური გაგება მოჰყვება ხოლმე და ეს შეიძლება ცხოვრების ფოჯოხიერ სინამდვილეში პიროვნების ფსიქოლოგიური გამძლეობის დადებით ენერგეტიკულ იმპულსად გამოდგეს.

ისევე მოვიშველიოთ ანალოგია: როგორია ჩვენი რეაქცია, თუ ვინმემ ფიზიკური ტკივილი მოგვყენა? თუ მან ეს განგებ ან დაუდევრობით გააკეთა, მაშინ ჩვენი რეაქცია, ალბათ, უფრო მრისხანების ტოლ-

ფასია, ხოლო თუ ჩვენი ფიზიკური ტკივილი მისი უნებური საქციელით იყო გამოწვეული, ასეთ შემთხვევაში ვცდილობთ არ შევიძინოთ ჩვენი ტკივილის ნამდვილი მასშტაბები და ადამიანს არ განვუმტკიცოთ ჩვენდამი ჩადენილი დანაშაულის გრძობა და უხერხულობის განცდა.

რაც შეეხება წყენის განცდას! თუ განგებ გვანწყენინეს, მაშინ ან განრისხებას გამოვხატავთ, ან უბრალოდ ყოველგვარი რეაქციის გამოსატყვის გარეშე ვშორდებით ადამიანს. ზოგიერთი ჩვენთაგანისთვის ასეთ შემთხვევაში ტიპური რეაქციაა დამცინავი გულგრილობა. მაგრამ ცხოვრებაში სხვანაირადაც ხდება: გულში ჩარჩენილი წყენის განცდის ტკივილი დროთა განმავლობაში იზრდება, თუ ეს მდგომარეობა სულიერი მართობის ტკივილითაც „ნოყიერდება“, მაშინ აღიარების მოლოდინის განუხორციელებლობა გაბოროტებული მტრობის დამოკიდებულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს და მისი საფარად მოსამართია ან წყენის განცდის ობიექტი (სხვა ადამიანი), ან კიდევ საკუთარი „მე“. ნაწყენი ადამიანის ასეთი მდგომარეობა მძიმე ფსიქოლოგიური მომენტის გავლენით შესაძლოა სრულიად უდანაშაულო ადამიანის განწყენების მიზეზი გახდეს. ზოგჯერ ნაწყენ ადამიანში არსებული გაბოროტებული მტრობის დამოკიდებულება თავისი ნეგატიური რეაქციის ობიექტად მთელს საზოგადოებას ირჩევს („მე არავის ვუყვარვარ, დაუმსახურებელ წყენას მაყენებენ და ადამიანად არ მთვლიან“). ცხადია წყენის განცდის (მოლოდინის აუსრულებლობით განწვეული გულგატეხილობა, სასურველი და ძვირფასი ადამიანის გულგრილობით გამოწვეული სულიერი ტკივილი და მისი) სრული უგულველყოფის ცდა არარეალურია და სასურველ შედეგს ვერც მოგვითმის. წყენის განცდა ისეთივე ბუნებრივი ადამიანური გრძობაა, როგორც ტკივილი, სიხარული, შიში, განცვიფრება და სხვა. მაგრამ მის განსაკუთრებულობას ბევრად განაპირობებს სწორედ ნაწყენი ადამიანის ეგოცენტრულობა, რაც ყველაზე მეტად განეტივრება პატარა ბავშვებს და ასეთივე ბავშვობაგავლილ მოზრდილებს ახასიათებთ: ის ადრეული ასაკიდანვე მიჩვეულია, რომ თავს დაჰკანკალებენ და ცხოვრებისეული სინამდვილის არსებობაში მისი სურვილებია გადამწყვეტი თავისი ასაკისა და ცნობიერი განვითარების შესაბა-

მისად. ის ეკალს თავის წინააღმდეგ მიმართულ „ცუდ“ ძალად მიიჩნევს და შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს, ვიდრე მიხვდება: ეკალი თავისთვის არსებობს. ეს ადამიანთა ცხოვრებაში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია: ყოველი ახლობელიც კი არსებობს „თავისთვის“, და არა როგორც ჩვენი საკუთარი პიროვნული ცხოვრების შემადგენელი ობიექტური ერთეული, ის ცხოვრებაში მხოლოდ საკუთარი გზით მიდის და მისი ცხოვრების „კარგი-ცუდის“ ერთმნიშვნელოვანი პრინციპით შეფასება „თვითშეფასების ერთმნიშვნელოვანი პრინციპითაა მიუთითებს. ცხადია, ჩვენ გვსურს, რომ მას ჩვენი ესმოდეს, მაგრამ საბოლოოდ თვით მან უნდა განსაზღვროს საკუთარი ქმედება და მისი შეფასება ცხოვრება გვირველებს შეიძლება ადამიანი ვაიძულოთ აღიაროს, რომ იგი დამნაშავეა ჩვენი წყენისათვის, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვაიძულებთ განიცადოს.

ჩვენს წინაშე ჩადენილი საკუთარი დანაშაული, თუ მას თვითონ არ სურს საერთოდ სხვების გაკიცხვისა თუ გამტყუნების ტენდენციას შეიძლება მრავალი ფსიქოლოგიური მიზეზი გააჩნდეს. ადამიანს გაუადვილდება სულიერი მდგრადობის შენარჩუნება მაშინ, როცა საკუთარი ფსიქოლოგიური დისკომფორტის, წყენის ან უბრალოდ ცუდი გუნება-განწყობილების მიზეზს მოიძიებს ასეთ დროს ის ჩქარობს ჩაეჭიდოს გარემოებათა მთელ ციკლში არსებულ რომელიმე მომენტს (ობიექტს) და მას გადააბრალოს ბევრი ისეთი რამ, რაც არა მხოლოდ ამ მომენტის, არამედ საერთოდ მთელი ციკლის შედეგია, ამის ხატოვან მაგალითად ფსიქოლოგებს მოჰყავთ ბავშვის მდგომარეობა, რომელიც სკოლაში რაიმეზე გაღიზიანებული სახლში განიტვირთება“ იმ საბაბით, რომ გასულ კვირას მშობლებისაგან შეპირებული საჩუქარი აქამდე არ მიუღია. სწორედ ასეთ მომენტში მას შეიძლება ჩამოუყალიბდეს წუთიერი დამოკიდებულება, რომელიც შემდეგ, ალბათ, ცხოვრებისეულ პოზიციაში გადაიზრდება, რომ მის მიმართ უსამართლონი არიან. ასეთი მექანიზმი მოზრდილთათვისაც ტიპურია. ამიტომ არის, რომ ჩვენ ხშირად უსამართლოდ ვანწყენინებთ ხოლმე სრულიად უდანაშაულო ადამიანებს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვემჩინა მათი საპასუხო რეაქციისა ან მათი მორჩილების იმედი გვაქვს.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ დანაშაულისა და გასამართლების პრობლემა (როგორც იურიდიული, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით) თავისთავად უამრავ სირთულეს გულისხმობს და შემთხვევითი სულაც არ არის, რომ საკაცობრიო კულტურასა და სამართლის სისტემაში „უდანაშაულობის პრეზუმპციის“ ცნებამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ამ ცნების არსი იმაში მდგომარეობს, რომ რაც უნდა ძლიერი იყოს ეჭვი, სანამ არ დამტკიცებულა დანაშაული, იქამდე ეჭვიმტანილი უდანაშაულოდ ითვლება. დანაშაულის მტკიცება მხოლოდ ფაქტებზე უნდა აიგოს და არა ვინმეს შინაგან რწმენაზე, ან ვარაუდზე. ბრალდებული მოვალე არ არის თავი იმართლოს და საკუთარი უდანაშაულობა ამტკიცოს, სწორედ ბრალდება არის მოვალე დაუმტკიცოს მას დანაშაულის ჩადენა. მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ იმართება სასამართლო ბრალდების კანონიერების შემოწმება, დანაშაულის განსაზღვრისა და შესაბამისი განაჩენის გამოტანისთვის.

რაც შეეხება ადამიანების ურთიერთობაში ანალოგიური ფსიქოლოგიური მექანიზმის მოქმედებას, აქ აშკარად სუბიექტური (რწმენითი) ხასიათის დამოკიდებულება სჭარბობს, იგი ართულებს ყოველგვარ ურთიერთობას და წყენის განცდის აღმოცენების ერთ-ერთ მთავარ მიზეზადაც გვევლინება. ამასთანავე ხშირად სხვა ადამიანის ქცევაში დანაშაულის მოტივების ძებნა ჩვენივე მცდარი სუბიექტური წარმოდგენის არსებობაზე მიუთითებს. ეს ხდება უნდობლობისა და კეთილგანწყობის საფუძველი, აქედან კი წყენის განცდამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

წყენის განცდის მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად ფსიქოლოგები ერთხმად ასახელებენ ნაწყენი ადამიანის მხრიდან წყენის განცდის ობიექტის (მეორე ადამიანის) ქმედების შეფასებისაგან თავშეკავებას, რადგან ნაწყენი ადამიანი ქვეცნობიერად თავისთავზე იღებს მოსამართლის როლს მაშინ, როდესაც თვითონ არის „დაზარალებული“. ცხადია, ასეთ დროს გამოტანილი განაჩენი სუბიექტური იქნება. საეჭვოა, რომ სხვა სიტუაციაში იგივე ადამიანი დათანხმებულიყო მისი ქმედებისათვის ასეთი გზით განაჩენის გამოტანაზე.

წყენის განცდის საშიშროება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი შეიძლება ხასიათდებოდეს ფუნქციონალური დაუკმაყოფილებლობის ნიშნით: ადამიანი ელოდება წყენას და ამის შესაბამისი მოლოდინის განწყობაც ეუფლება. ამ დროს შესაძლოა წყენის მიზეზი სრულიად უმნიშვნელო ფაქტორიც გახდეს, რომელიც სხვა დროსა და სხვა განწყობის დროს ამ ადამიანის ყურადღებას სულ არ მიიქცევდა.

პიროვნება, რომელსაც ახასიათებს წყენის განცდის მიდრეკილება, უმეტესად გამოირჩევა გარკვეული სულიერი და ინტელექტური სიმრავლით. ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია - წყენის განცდის სათავეების საფუძვლიანი ანალიზი (თვითანალიზი), რაზედაც შემდეგ წერილში გესაუბრებით.

(გაგარძელება იქნება)
 ბასიკ გიგოლაშვილი,
 ფსიქოლოგი

მიგრაცია ქიზიყის სოფლებში — ანალიზი საუკუნის ჭრილში

1910 წელს 16 685 მცხოვრები იყო ქიზიყში, ზემო მაჩხაანში კი - 4298. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სწრაფად გაიზარდა დედოფლისწყაროს მოსახლეობა. ბუნებრივ მატებასთან ერთად ეს იყო სხვადასხვა რეგიონებიდან ინტენსიური ჩასახლებებით გამოწვეული პროცესი. გარე მიგრაციიდან აღსანიშნავია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დღევანდელ დედოფლისწყაროსა და ილიანში (ნოვო ალექსანდროვკა) რუსი სექტანტების (მოლოკნები) ჩამოსახლება. ცვლილებები გამოიწვია, აგრეთვე, რუსული სამხედრო ნაწილების განლაგებამ დედოფლისწყაროს მიდამოებში. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშივე სამსახურავალი ფარისკაცებს უფლება მისცეს, იქვე დასახლებულიყვნენ, შეექმნათ ოჯახები. პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული ქიზიყის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ საბათლოში, 1914 წელს ალაზნავალმა დარბეულ სომეხთა ქიზიყში თავშესაფრის მონახვა.



შეთხლებულ სოფელ მირზაანში დამკვიდრდა. მნიშვნელოვანწილად, ორგანიზებულ ჩასახლებათა გამოა, რომ 1926-1959 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა გაორმაგებულია. ცალკე უნდა აღინიშნოს 1980-იან წლებში ქიზიყში აჭარელთა ჩამოსახლება. იმ დროს აჭარის მთიანეთის დემოგრაფიული ზრდისა და რეგიონის დემოგრაფიული ტევადობის შეზღუდულობის გამო, იქაური მოსახლეობის გადასახლება შრომითი რესურსებით უკმაპო რეგიონებში დიდად ეფექტიანი იყო. ამას ემატებოდა საზღვრისპირა რეგიონების ე.წ. ეთნიკური ათვისების არადეკლარირებული მიზანიც. აჭარელთა მიგრაციაზე ბევრი დაინერა. ამ ორგანიზებულმა ჩასახლებებმა უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის განსახლების სისტემის ოპტიმიზაციაში. 1980-იან წლებში მაშინდელ ნიუტელწყაროს რაიონში გაშენდა მსხვილი დასახლებები: ჯერ სამთაწყარო და ცოტა მოგვიანებით, ფიროსმანი. ამას მდიდარი მინის ფონდის მქონე რეგიონისთვის სამეურნეო ათვისებასთან ერთად უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ბოლო დროინდელი დემოგრაფიული კლემის მიუხედავად, აჭარელებით დასახლებული ეს სოფლები წარმოადგენს საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთის საზღვრისპირა რეგიონის მნიშვნელოვან საყრდენს.

მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში ქიზიყის განსახლების ტრანსფორმაციაში შეიმჩნეოდა ოპტიმიზაციის სხვა დედებით ტენდენციებიც. მნიშვნელოვანია დასახლებული პუნქტების მიახლოება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, იქ ახალი სასოფლო დასახლებული პუნქტების შექმნა, მჭიდროდ დასახლებული სოფლების მოსახლეობის შიდა რეგიონული გადაინაწილება. მათგან მნიშვნელოვანია, სოფელ სამრეკლოში, ზემო მაჩხაანთან და მირზაანთან დიდი კონტინენტის

ჩასახლება. ქიზიყის დასახლებული პუნქტების მოსახლეობის დინამიკის ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ მოსახლეობის კლემის მაღალი ტემპი უკლებლივ, ყველა სოფლისა და ქალაქის უმწვევარესი პრობლემაა. 1989-2014 წლებში განსაკუთრებით დიდად მიგრაციული კლემა სტრატეგიული მდგომარეობის სოფლებში, ახალშენებში. მაგალითად, ზემო და ქვემო ქედსა და არხილოსკალოში, პოსტსტაბჭოთა პერიოდში (1991-2014წწ) მოსახლეობის რიცხოვნობა 56%-ითაა შემცირებული, სამთაწყაროში - 48.1%-ით. სწრაფად კლემბულობს 1980-იან წლებში ჩასახლებული ფიროსმანისა და ხორნაბუჯის (სიღნაღის მუნიციპალიტეტი) მოსახლეობაც. მეტად სავალალო მდგომარეობაა შექმნილი რეგიონის ქალაქებშიც. 1989 წლის შემდეგ ქ. სიღნაღმა დაკარგა მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

დიდი მიგრაციული კლემა მოხდა ქ. დედოფლისწყაროშიც. პოსტსტაბჭოთა პერიოდში ძალაძის მოსახლეობა 41%-ითაა შემცირებული. საგოლომ კი, პოსტსტაბჭოთა პერიოდში, ქიზიყის ძალაძის მოსახლეობის რიცხოვნობა სოფლებში აღინიშნება. მიგრაციის მიზანმიმართული მართვა მთელი მოსახლეობაში ქალაქის წილით არ განისაზღვრება. იგი მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ქიზიყის სასოფლო დასახლებები საკმაოდ მსხვილ სოფლებს წარმოადგენს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში საშუალოდ 1000 კაცი ცხოვრობს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებში - 1250. ბოლო ხანს მიმდინარეობს მუშაობა სოციალური ინფრასტრუქტურის აღდგენისა და განვითარებისათვის. „ძველი ქიზიყის“ მჭიდროდ დასახლებული ურთიერთგადაბმული სოფლების დიდი კონცენტრაცია (15 სოფელი და 2 ქალაქი), სადაც ცხოვრობს ქიზიყის მოსახლეობის 53.5%, მომსახურების მაღალი დონის შექმნის საფუძველს იძლევა. თუმცა, ამჟამად ახალგაზრდობის კატასტროფული სიმცირე სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ეფექტიანობას დიდად ამცირებს. პრობლემები გაჩნდა საშუალო სკოლების მოწოდებებითა და საბავშვო ბაგა-ბაღების ბავშვებით დაკომპლექტე-

ბაში, კულტურულ-გასართობი ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქიზიყის მოსახლეობა მთლიანად ეთნიკური ქართველებისგან შედგებოდა. სიღნაღის დაარსებისა და ერეკლე მეორის მიერ ყარაბაღიდან მტრისგან შევინროებული სომეხთა ჩამოსახლებას ქალაქური სავაჭრო-სახელოსნო ცხოვრების აღმავლობა მოჰყვა. იყო დრო, როცა ქ. სიღნაღის მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა წარმოადგენდა. შემდგომ ქალაქიდან სომეხთა ინტენსიური ემიგრაციისა და, ნაწილობრივ, ქართულ ეთნოსში ინტეგრაციის გამო მათი რიცხოვნობა მინიმუმამდე შემცირდა. ამჟამად ქიზიყში ეთნიკურად სომეხები კომპაქტურად არიან დასახლებულნი მხოლოდ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე დასახლებულ პუნქტში. ეს კონტინენტური პირველი მსოფლიო ომის დროს აზერბაიჯანული რეგიონებიდანაა დევნილი და საქართველოში შეფარებული.

მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ინტენსიური იყო ქიზიყში რუსების ჩამოსახლება (ნოვო ალექსანდროვკა, სეჩენოვკა, „ცარსკიე კოლოდცი“). როგორც მთელ საქართველოში, ქიზიყშიც მიგრანტთა დიდი ტალღა შემოვიდა 1930-იანი წლების ცნობილი „გოლოდომორისა“ და მეორე მსოფლიო ომის დროს (წილის რუსული უბანი). მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილების არსებობა და სამხედროთა ოჯახები ეთნიკური რუსების რიცხოვნობას უზღვევდა. 1960-იანი წლებიდან, როგორც მთელი საქართველოდან, ქიზიყშიც დაინიშნა რუსი ეროვნების მოსახლეობის გასვლის ნელი პროცესი. იგი დაჩქარდა პოსტსტაბჭოთა პერიოდში. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ნავიღნაე სახმადრე მოსახლეობის მთავანთი ოჯახებითურთ. 1991 წელს საქართველოდან გავიდა დიდი შირაქში განლაგებული 36-ე გამანადგურებელი ჯარისკაცთა საავიაციო დივიზია. 1989-2014წწ. აღწერათმორის პერიოდში ქიზიყში რუსების რიცხოვნობა თითქმის ათჯერ შემცირდა. დარჩენილი ეთნიკურად რუსი მოსახლეობა უაღრესად დაბერებულია და დემოგრაფიული ზრდის პერსპექტივა არა აქვს.

მირიან ტუსაშვილი, პროფესორი, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი

უშანგი ხუმარაშვილის ხსოვნას გამოფენა მიეძღვნა

19-25 ივნისს, თბილისში, არტ გალერეა „ნობლესში“ უშანგი ხუმარაშვილის ნახატების გამოფენა გაიმართა, რომელიც მისივე ხსოვნას მიეძღვნა. მხატვარი პირველ მაისს გარდაიცვალა.

უშანგი ხუმარაშვილი 1948 წლის 25 აგვისტოს დედოფლისწყაროს რაიონში დაიბადა. 1967-1973 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სახატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდეგ იგი მუშაობდა თელავის დრამატულ თეატრში. 1985 წლიდან უშანგი ხუმარაშვილი იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. 2001 წელს მიიღო გრან-პრი წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის.



მხატვარი კლასიკური ავანგარდის წარმომადგენელი იყო და მის ტრადიციებზე დაყრდნობით ერთგულად მუშაობდა ზეთის ტექნიკით. უშანგი ხუმარაშვილი იყო მრავალი ჯგუფური გამოფენის, საერთაშორისო პროექტის, ფესტივალისა და ბიენალეს მონაწილე. მხატვრის ნამუშევრები ინახება ეროვნულ გალერეაში, საქართველოსა და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში.

გაზეთი „შირაქი“ ჩვენი თანამემამულე მხატვრის შესახებ ჯერ კიდევ 2019 წელს წერდა. მაშინ ბატონ უშანგის ვთხოვეთ დედოფლისწყაროსთან

მისი კავშირი გაეხსენებინა.

„წარმოშობით ფშაველი ვარ, დავიბადე სოფელ ქვემო ქედში. ბედნიერი ვარ, რომ დედოფლისწყარო მაკავშირებს ბავშვობის წლებთან. დაახლოებით მეოთხე კლასამდე ქვემო ქედის სკოლაში ვსწავლობდი. დედოფლისწყაროსთან გექონდა ხშირი ურთიერთობა. ბავშვობის წლებიდან ხშირად და ტკბილად ვიხსენებ შირაქის ველს. დიდი ოჯახი ვიყავით, შემდეგ გააკულაკეს, როგორც ხდებოდა. ქედში ნათესავები ცხოვრობენ. ბოლოს ქვემო ქედში ვიყავი სააღდგომოდ, მამის საფლავზე. ვცდილობ, აღდგომისთვის მაინც ჩამოვიდე ხოლმე. დაახლოებით 12 წლის ვიყავი, როდესაც გადმოვცხოვრდით თელავში. საშუალო სკოლა თელავში დავამთავრე,“ - აღნიშნავდა მხატვარი.

ილია მარტყოფლიშვილი



გაზეთ „შირაქის“ ძველი და ახალი (ასევე სტამბის) თანამშრომლები იუნყებინ სტამბის ყოფილი დირექტორის დომენტი გონაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია და დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, მრავალი ჯილდოს მფლობელი და საზოგადო მოღვაწე გურამ გოგიაშვილი რედაქცია სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და კოლეგებს.

„ბერიკონის“ 10 წელი და ცარო მარტიაშვილის პარსკვლავი



(დასაწყისი მე-3 გვერდიდან)

ცარო მარტიაშვილი: „სიტყვები არ მყოფნის, ბედნიერი ვარ და ჩემს თავს ვეკითხები: „ვიმსახურებდი, თუ არა?“... იმხელა სითბო მივიღე თითოეული ადამიანისგან ერთად და ცალ-ცალკე, მთელი რაიონისგან, რომ არ ვიცი რა ვთქვა. ძალიან ემოციური დღე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავის გახსნა ორი წლის წინ დაიგეგმა და ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, ამხელა ემოციას მაინც არ ველოდი. ვერ დავძლიე ემოციები და ამაზე საუბრისას მეტირება. 42 წლიანი შრომა, თეატრში გატარებული 10 წელი, ეს იყო შეფასებისა და დაფასების ზენიტი და კულმინაცია. ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მერს, ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, მიხარია, რომ მის პერიოდში მოხდა ვარსკვლავის გახსნა. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კულტურის ცენტრის ყველა დირექტორს: ილია მარტყოფლიშვილს, მამუკა ყავერელიშვილს და ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს ლია მაისურაძეს, რომელთაც ამ ორ წელში ვარსკვლავის გახსნის პროცესში წვლილი შეიტანეს. ყველას დიდი მადლობა ჩემგან. ასევე არ შემიძლია არ ვახსენო ადამიანები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს დედოფლისწყაროში ახალგაზრდული თეატრის დაარსებას - ამისთვის დიდი მადლობა ნინო ბახუტაშვილს. ეს იყო დაუღალავი შრომის ათი წელი, ყოველთვის ვდებდით შედეგს და ამჯერადაც ვფიქრობ შედეგით.“

ვაჟა-ფშაველას მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ...

– მთელი ბავშვობა ქვემო ქედში გავატარე და ბუნებრივია, ვაჟა-ფშაველას პოემებითა და ლექსებით ვიზრდებოდი. მამიდაჩემს რეალურად ჰყავდა ნანახი ვაჟა-ფშაველა და ბავშვობაში ყოველთვის მიკითხავდა მის ნაწარმოებებს. ბავშვობიდანვე ზეპირად ვიცოდი მისი შემოქმედება. მოგეხსენებათ, ახალგაზრდული თეატრის მუშაობა ათი წლის წინ სწორედ ვაჟას „სტუმარ-მასპინძლით“ დაიწყო და ისევე აქტიურად ვაჟას შემოქმედება, გვინდოდა საიუბილეო თარიღი ისევე ვაჟას ნაწარმოებით გვეზეიმა. გულწრფელად გითხრათ, ბოლო ხანს, ამ სამზადისის დროს, ვაჟა ზმირად მესიზმრებოდა. იმდენად ღრმად ვიყავი ჩაფლული შემოქმედებით პროცესში.

უნიკალური, უძველესი კოსტიუმები გამოიყენეთ, ამის შესახებ გვიამბეთ...

– 1971 წელს ამ სცენაზე კოტე მახარაშვილის მიერ დავით ერისთავის „სამშობლო“ დაიდგა, ეს სპექტაკლი მხოლოდ ერთხელ ითამაშეს და რატომღაც მეტჯერ აღარ გან-

მეორებულა. კოსტიუმები მას შემდეგ კულტურის ცენტრშია დასაწყობებული. რამდენიმე წლის წინ აღმოვაჩინეთ ეს უნიკალური კოსტიუმები და რადგან ძალიან ძველია, რესტავრაცია ჩაუტარდა. ამჯერად ბიჭებს სწორედ ეს ისტორიული სამოსი ეცვათ სცენაზე და ვფიქრობ, ამ კოსტიუმებს მომავალშიც აქტიურად გამოვიყენებთ. დიდი ხანი მინდოდა ეს ძვირფასი სამოსი ჩვენს სცენაზე კვლავ გამეტანა“.

ნონა სუპარაშვილი: „სცენაზეც აღინიშნა, რომ ჩვენ ერთმანეთის ბავშვობა ვართ, მე და ცარო ერთმანეთს მცირე ასაკიდან ვიცნობთ და უდიდესი სიყვარული გვაქვს. მიხარია ეს ყველაფერი, დღეს იყო ამ შემოქმედებითი პროცესის გვირგვინი. თავისი საქმისადმი ასეთი სიყვარულის მქონე ადამიანი იშვიათად მინახავს. ამაყი ვარ, ამდენ ბავშვს რომ ვუყურებდი. ბევრი ბავშვი გამოსტაცა ქუჩას და მადლობა ამისათვის. ბედნიერი ვარ, რომ დაფასდა ცაროს შრომა, გასულ წელს საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს. ახლა კი ამ მნიშვნე-

ლოვან ზეიმს რომ არ გამოვაკლდი და აქ ჩამოსვლა მოვახერხე, ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ერთად ვარ. ვარსკვლავის გახსნა არაფერს არ ჰგავს, ამ გრძობას ვერ გადმოსცემ, სულ სხვა განცდაა. მეც რამდენიმე თვის წინ გამიხსენეს ვარსკვლავი თელავის თეატრის წინ და ვერაფერს ვერ შევადარებ ამ განსაკუთრებულ გრძობას. ყველას გილოცავთ ამ მნიშვნელოვან მოვლენას. კიდევ და კიდევ დიდ წარმატებებს ვუსურვებ ჩემს ცაროს. მას კიდევ ბევრი რესურსი აქვს და ბევრჯერ იტყვის სათქმელს.“

ვანო ინატალიძე: „არაჩვეულებრივი საღამო იყო დედოფლისწყაროში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დედოფლისწყაროს ცარო მარტიაშვილი ჰყავს და მუნიციპალიტეტი მის მიმართ ყურადღებასა და დაფასებას ასე გამოხატავს. ნიჭიერი ქალბატონია და ხელოვან ხალხს ხელშეწყობა და დაფასება სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ 10 წლის მანძილზე მან ამდენი სპექტაკლი დადგა, ამდენმა ახალგაზრდამ გაიარა მის ხელში, ეზიარა თეატრის ხელოვნებას. მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროს ამ ყველაფრისთვის და რა თქმა უნდა, მადლობა ქალბატონ ცაროს, რადგან ასეთი კარგი ადამიანია“.

ილია მარტყოფლიშვილი



ულოცავენ! ნანა ჭიჭინაძეს!

მრავალი ჯილდოსა და ტიტულის მფლობელს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, დამსახურებულ ჟურნალისტს, ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს, ვულოცავთ ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას! წარმატებებს ვუსურვებთ!

პატივისცემით

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები

იყიდება!

იყიდება ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, ოთხ ოთახიანი ბინა 5-სართულიანი კორპუსის მე-3 სართულზე სასტუმრო „ავტოგრაფის“ წინ. ბინა არის რემონტიანი, აბაზანა-ტუალეტი კაფელ-შეტლახში, პარკეტით, ფანჯრები მეტალოპლასტმასის, შიდა კარებები შეცვლილი, ორი დიდი აივნით. ბინაში რჩება სამზარეულო, გაზქურა, გაზის გამათბობელი, წყლის გამაცხელებელი, შესასვლელში კარადა, სანოლები. ფასი 25 000 \$. ტელ: 595 32 47 61; 551 31 89 76.

წარჩინებული კურსდამთავრებულები პარლამენტში

დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების წარჩინებული სკოლადამთავრებული (ოქროს და ვერცხლის მედალოსანი) მოსწავლეების მიღება გაიმართა საქართველოს პარლამენტში.

მოსწავლეებმა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმში



დაათვალიერეს და პლენარული სესიის მიმდინარეობას დაესწრნენ. მათ უმასპინძლა საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სონღულაშვილმა. მისი განცხადებით, მსგავსი ტიპის შეხვედრები წლის განმავლობაში დაგეგმილია და პერიოდულად გაიმართება სხვადასხვა სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.



ამინდი		დედოფლის		წყარო	
ორშაბათი 03.07	სამშაბათი 04.07	ოთხშაბათი 05.07	ხუთშაბათი 06.07	პარასკევი 07.07	შაბათი 08.07
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
28°	17°	29°	19°	31°	18°

გამომცემელი შპს „შირაქი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: ჭაჭაიაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწეველი); ხათუნა ბინაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწეველი); მზინა ქანდაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6 014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი